



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030481575885817

№ 04-350/ო

31 / მაისი / 2017 წ.

„2017 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის N638 დადგენილებით დამტკიცებული „2017 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ N22 დანართის („ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა“) ფარგლებში, სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტის მიწოდების და გაცემის წესის განსაზღვრის შესახებ

„2017 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის N638 დადგენილებით დამტკიცებული „2017 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, ამავე დადგენილებით დამტკიცებული „ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის“ (დანართი N22) მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2017 წლის 31 მაისის N 01/34694 წერილის და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის N638 დადგენილებით დამტკიცებული „ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის“ (შემდგომში - „პროგრამა“) N22 დანართის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„დ“ ქვეპუნქტების (გულ-სისხლძარღვთა ქრონიკული დაავადებების, ფილტვის ქრონიკული დაავადებების, დიაბეტის (ტიპი II), ფარისებრი ჯირკვლის დაავადებების სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტი) ფარგლებში შესყიდული მედიკამენტების ბენეფიციარებზე გაცემის ორგანიზაციული პროცესის მოწესრიგების მიზნით, დამტკიცდეს „ქრონიკული დაავადებების სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტის გაცემისა და მიწოდების წესი“ (დანართი N1).

2. დავვალოთ:

ა) სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში - „სააგენტო“) ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტს (კ. ჩხარტიშვილი):

ა.ა) ადმინისტრირება გაუწიოს ბრძანების შესრულებას;

ა.ბ) უზრუნველყოს იმ სამედიცინო დაწესებულებების ინფორმირება წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული წესის შესაბამისად გათვალისწინებულ საკითხებზე და მოთხოვნის შემთხვევაში, მათთვის კონსულტაციის გაწევა, რომლებიც უზრუნველყოფენ „პროგრამით“ მოსარგებლე პირის დიაგნოსტიკას;

ა.გ) უზრუნველყოს „პროგრამით“ განსაზღვრული ლოჯისტიკის კომპონენტის მიმწოდებლის ინფორმირება წინამდებარე ბრძანებით გათვალისწინებულ საკითხებზე და მოთხოვნის შემთხვევაში, მათთვის კონსულტაციის გაწევა;


ბ) სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს (ი. ტაბატაძე), ფუნქციური დეპარტამენტების დავალების შესაბამისად (ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების და ეკონომიკური დეპარტამენტები), განახორციელოს პროგრამის ადმინისტრირებისათვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა და შემდგომ - მისი ფუნქციონირების ხელშეწყობა;

გ) სააგენტოს დირექტორის აპარატს (ნ. ჩანადირი), უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებისა და მისი დანართის განთავსება სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge).

4. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

A handwritten signature in black ink on a light-colored background. The signature is stylized and appears to be 'T. Modetba'.

თამაზ მოდებაძე